საქართველოს კანონი
ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ
თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს კანონი ადგენს საქართველოში ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2

ამ კანონის მიზანია საქართველოში ლატარიების, სამორინეების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების სფეროს სახელმწიფო რეგულირება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აზარტული თამაშობები – თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა;

ბ) მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით;

გ) სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება;

დ) სამორინეს მაგიდა – სამორინეში განთავსებული სპეციალურად მოწყობილი მაგიდა, რომელზეც სამორინეს წარმომადგენელსა და მოთამაშეს (მოთამაშეებს) შორის, აგრეთვე მოთამაშეებს შორის მიმდინარეობს ერთი კონკრეტული თამაშობა სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, კამათლებისა და სხვა საშუალებით ფულადი მოგების გათამაშებისათვის;

ე) სათამაშო დარბაზი – სამორინეში თამაშობების ჩასატარებელი სპეციალური ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია მოთამაშეთა უსაფრთხოება და დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და რომელიც აკმაყოფილებს სანიტარიულ, ჰიგიენურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს; აგრეთვე მოწყობილია სპეციალური საკასო ოთახი;

ვ) სათამაშო აპარატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმები, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ჟეტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით;

ზ) სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალური სათამაშო ადგილი, სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები;

თ) ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნებასურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი.

ლატარიის სახეებია:

თ.ა.) ტირაჟიანი ლატარია – ლატარია, რომლის ჩატარების პროცესი დაყოფილია ტირაჟებად, ცალკეულ სრულ ციკლებად, ბილეთის დამზადებიდან და რეალიზაციიდან – საპრიზო ფონდის გათამაშების ჩათვლით. ლატარიის ბილეთის მფლობელი ბილეთის მომგებიანობას ადგენს მხოლოდ გათამაშების ჩატარების შემდეგ;

თ.ბ.) მომენტალური ლატარია – ლატარია, რომლის გათამაშების შედეგი ირკვევა ადგილზე ბილეთის შემოწმების ან უშუალოდ ბილეთზე გათამაშების ჩატარების გზით;

ი) ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობის ბილეთი – სარეალიზაციოდ ან გასავრცელებლად გამზადებული ბარათი, თამაშობაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ნივთი, პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი (ნომერი) ან ინფორმაციის სხვა მატარებელი, რომელიც პასუხობს კანონისა და კონკრეტული ლატარიის ან თამაშობის ჩატარების პირობებს და მოგების შემთხვევაში ადასტურებს მოგების ფაქტს;

კ) საპრიზო ფონდი – ანუ თანხები, რომლებიც შემოსვლამდე აღიარებულია მყარ ვალდებულებად მესამე პირის (მოგებახვედრილი ბილეთის მფლობელის) ან მარწმუნებლის ან პრინციპალის სასარგებლოდ და განკუთვნილია მათზე გადასაცემად, გათამაშების პირობებით გათვალისწინებული მოგების ოდენობით. კონკრეტული თამაშობის მოწყობის პირობების შესაბამისად მოგება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფულადი, ნივთობრივი ან სხვა ფორმით და გაიცემა თამაშობაში მოგებულ ბილეთზე. აკრძალულია საპრიზო ფონდის

დატვირთვა რაიმე სხვა ვალდებულებებით, გარდა ვალდებულებისა, რომელიც დადებულია გათამაშების მონაწილეებთან. საპრიზო ფონდი არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსურ, კომერციულ, საწარმოო ან სხვა ბრუნვაში;

ლ) საპრიზო ფონდის გათამაშება – პროცედურა, რომლის დროსაც დასტურდება მოგების დამთხვევის ფაქტი ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობის ბილეთზე;

მ) საპრიზო ფონდის უზრუნველყოფა – ფინანსური (ქონებრივი) მექანიზმი, რომლითაც მოგების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ლატარიის, ლოტოს, ბინგოს, ტოტალიზატორისა და წამახალისებელი გათამაშების მოთამაშეთა ინტერესები და რომლის ფორმირებაც ხდება ქონებით ან სხვა სახის უზრუნველყოფით;

ნ) ლატარიის მოცულობა – კონკრეტული გათამაშებისათვის განკუთვნილი ბილეთების რაოდენობის ნამრავლი ბილეთების საცალო ღირებულებაზე;

ო) მომგებიანი თამაშობებია:

ო.ა) ლოტო – ჯგუფური თამაშობა, რომლის მონაწილე ირჩევს რიცხვით ან სიმბოლოების კომბინაციებს და მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ლოტო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ო.ბ) ბინგო – ჯგუფური თამაშობა, რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით ფიქსირდება მოგება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ბინგო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ო.გ) ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის ან/და თამაშობის შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე;

ო.დ) წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომელიც ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით და წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ. წამახალისებელი გათამაშების ნებართვა გაიცემა კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებელ იურიდიულ (ფიზიკურ) პირზე ან მის წარმომადგენელზე. დაუშვებელია წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისათვის ნებისმიერი ფორმით საფასურის დაწესება;

პ) აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი – აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი;

ჟ) ლეგალიზაცია – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ლატარიის ბილეთებისა და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღჭურვა სპეციალური დამცავი ნიშნებით;

რ) ექსპერტიზა – ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობის ბილეთის იდენტურობის დადგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებულ და ლეგალიზებულ ნიმუშთან;

ს) უტილიზაცია – ლატარიის, მომგებიანი თამაშობის ბილეთის განადგურება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 4

ლატარიას, აზარტულ და მომგებიან თამაშობებს არ მიეკუთვნება თამაშობები, რომლებიც ტარდება მანქანების, აპარატების, მოწყობილობებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით და რომლებშიც გათვალისწინებული არ არის შემთხვევითობის ელემენტი. მათი მიზანია მონაწილეთა განსაკუთრებული ცოდნის, ინტელექტის, სიმარჯვის, მოხერხებულობის ან სხვა განსაკუთრებული უნარის ტესტირება ან დემონსტრირება.

მუხლი 5

1. ყველა სახის აზარტული და მომგებიანი თამაშობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ნებართვას მოითხოვს. უნებართვოდ თამაშობის გამართვა ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა კანონის დარღვევად ითვლება და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. საქართველოში დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობა და მათი ბილეთების გავრცელება.

მუხლი 6

1. საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის – ფონდის მეშვეობით. ლატარიის ორგანიზება და ჩატარება ფონდის მიერ დელეგირებულ უნდა იქნეს ამ მიზნით

მოწყობილ ტენდერში გამარჯვებულ პირზე.

2. ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე ტენდერში გამარჯვებული პირი, ლატარიის ჩატარებისას ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის 20 პროცენტს მიმართავს ფონდში, რომელიც მოხმარდება ფონდის წესდებით გათვალისწინებული სპორტისა და კულტურის განვითარებისათვის განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

3. აკრძალულია ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლების მესამე პირისთვის დელეგირება.

მუხლი 7

აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვების გაცემას, ნებართვების/ლიცენზიების მოქმედების შეჩერებას, ცვლილების შეტანას, განახლებას, გაუქმებას და უწყებრივ სანებართვო რეესტრში რეგისტრაციას „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-6, მე-7 და მე-8 თავების და ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 8

თუ ნებართვის მაძიებელი ან ნებართვის მფლობელი პირი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრიდან – „საქპატენტიდან“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარადგენს პატენტს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამადასტურებელ საბუთს, მაშინ სხვა პირზე, რომელიც განიზრახავს მომგებიანი თამაშობების ანალოგიური წესებით, ტექნიკური საშუალებებით, სახელით ან ბილეთის დიზაინით ჩატარებას, პატენტის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამადასტურებელი საბუთის მფლობელის თანხმობის გარეშე ნებართვა არ გაიცემა.

მუხლი 9

1. მომენტალური ლატარიის საპრიზო ფონდის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოცემულ გათამაშებაში ლატარიის მოცულობის არანაკლებ 45 პროცენტს.

2. ტირაჟიანი ლატარიის, ლოტოს, ბინგოს საპრიზო ფონდის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოცემულ გათამაშებაში რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების არანაკლებ 45 პროცენტს.

3. წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდის ოდენობა არ არის შეზღუდული. მას განსაზღვრავს ორგანიზატორი. საპრიზო ფონდის ოდენობა ფიქსირდება გათამაშების პირობებში.

4. ლატარიის გათამაშების შედეგად ნივთობრივი მოგება უნდა შეხვდეს მხოლოდ ერთ ბილეთს.

5. ბილეთზე მინიმალური მოგების სიდიდე არ შეიძლება იყოს მისი ღირებულების ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 10

1. მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორმა ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს საპრიზო ფონდის უზრუნველყოფის დოკუმენტი.

2. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორმა გათამაშების დაწყებამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს საპრიზო ფონდის უზრუნველყოფის დოკუმენტი.

3. ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს ორგანიზატორმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინოს საპრიზო ფონდის უზრუნველყოფის დოკუმენტი, არანაკლებ 10 000 ლარისა.

მუხლი 11

1. ნებართვის გაცემას ექვემდებარება:

ა) წამახალისებელი გათამაშება;

ბ) სამორინე;

გ) ტოტალიზატორი;

დ) სათამაშო აპარატების სალონი;

ე) ლოტო;

ვ) ბინგო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი თამაშობები შეიძლება ჩატარდეს ინტერნეტის, ტელეფონის და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მხოლოდ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით.

თავი II. მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და ნებართვების გაცემის პირობები

მუხლი 12

1. მომგებიანი თამაშობის (ბინგო, ლოტო, ტოტალიზატორი, წამახალისებელი გათამაშება) ნებართვის მაძიებელმა ნებართვის მისაღებად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს: ფიზიკური პირისთვის – სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის მონაცემებს, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს, თამაშობის ადგილსამყოფელს, მითითებას, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს პირი; იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, იურიდიულ მისამართს, თამაშობის ადგილსამყოფელს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და გვარს; სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემებს, მითითებას, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს პირი;

ბ) იურიდიული პირის წესდება და რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება ან ცნობა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის შესახებ; ინდივიდუალური მეწარმისათვის სასამართლოს დადგენილება ან ცნობა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან;

ე) ხელშეკრულება ან შეთანხმება ნებართვის მაძიებელსა და თამაშობის ჩატარების ფართობის მფლობელს შორის. თუ ფართობი ნებართვის მაძიებლის საკუთრებაა, მან უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ხელშეკრულება ნებართვის მაძიებელსა და იმ ორგანიზაციას შორის, სადაც მზადდება ლატარიის ბილეთი ან თამაშობაში მონაწილეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი მათი დასამზადებელი რაოდენობისა და დამზადების ღირებულების მითითებით;

ზ) მომგებიანი თამაშობების გათამაშების წესები (რეგლამენტი). ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს რეგლამენტებში უნდა აისახოს მოგებათა გარანტირებული გაცემის მექანიზმი, წარმოდგენილი საპრიზო ფონდის უზრუნველყოფის ფარგლებში;

თ) მომგებიანი თამაშობის ბილეთის ნიმუში ოთხ ეგზემპლარად, გაყალბებისგან დამცავი ნიშნების მითითებით, დამტკიცებული იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ და შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, ენის სახელმწიფო პალატასთან.

2. მომგებიანი თამაშობის ბილეთზე აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) იურიდიული (ფიზიკური) პირის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი;

ბ) ბილეთის ფასი (გარდა ტოტალიზატორისა და წამახალისებელი გათამაშებისა);

გ) ბილეთის ნომერი (პოლიგრაფიულად შესრულებული ნიმუშისათვის ნუმერაცია 1-დან თანმიმდევრობით, მოცულობის შესაბამისად);

დ) გაცემული ნებართვის ნომერი;

ე) მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი. საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი და მისამართი;

ვ) თამაშის ზოგადი წესი;

ზ) მოგების მიღების ვადა და ადგილი.

3. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიურად შეუძლებელია მომგებიანი თამაშობის ბილეთზე მოცემული რეკვიზიტების ასახვა, მაშინ მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს მათი საჯაროობა და თამაშის წესების დაუბრკოლებლად მიწოდება მომხმარებლებზე და მოთამაშეებზე.

4. ნებართვის მისაღებად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორ ეგზემპლარად უნდა წარედგინოს მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი. საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი და მისამართი;

ბ) მომგებიანი თამაშობის ბილეთების რაოდენობა და ნუმერაცია;

გ) საპრიზო ფონდი;

დ) პრიზების ჩამონათვალი, მათი რაოდენობა და ღირებულება (გარდა ტოტალიზატორის, ლოტოსი და ბინგოსი);

ე) მომგებიანი თამაშობის ფულადი ან ნივთობრივი მოგების გაცემის ადგილი, თარიღი და ზღვრული ვადა. წამახალისებელი გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი უნდა გამოქვეყნდეს გათამაშებიდან არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა. მომგებიანი თამაშობის მოგებების გაცემის საერთო ვადა განისაზღვრება გათამაშებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. მოგების გაცემა უნდა განხორციელდეს მომგებიანი ბილეთის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 დღისა.

5. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. საპრიზო ფონდის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის ნებართვები გაიცემა თითოეულ ობიექტზე.

8. ხელშეკრულება ბილეთების ლეგალიზაციისა და ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობა.

მუხლი 13

1. აზარტული და მომგებიანი თამაშობების პირობების, ბილეთის ნიმუშის, ბილეთების რაოდენობისა და ნუმერაციის, საპრიზო ფონდის და სხვა ცვლილების (რომელიც არ გამოიწვევს თამაშობის არსებით

ცვლილებას) შემთხვევაში, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია გათამაშებამდე ორი კვირით ადრე, თანხმობის მიღების მიზნით, სათანადო დოკუმენტებთან ერთად, წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მიმართვა არ განიხილება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია განიხილოს აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის წერილობითი მიმართვა ცვლილებების თაობაზე (თანდართული დოკუმენტაციით) და ერთი კვირის ვადაში აცნობოს მას თანხმობის ან დასაბუთებული უარის შესახებ.

მუხლი 14

პირი, რომელსაც აღებული აქვს ნებართვა, უფლებამოსილია ბილეთების რეალიზაცია მოახდინოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხოლო ნივთმოგების მფლობელს უფლება აქვს მიიღოს მოგებული ნივთი ან მისი შესაბამისი თანხა, თუ ეს დადგენილია თამაშობის წესით.

მუხლი 15

ლატარიის და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი, გათამაშებას ატარებს ბილეთების არასრულად რეალიზების შემთხვევაშიც.

მუხლი 16

ლატარიას, წამახალისებელ გათამაშებას ხელმძღვანელობს მომწყობი კომისია, რომელსაც ქმნის ორგანიზატორი და რომლის თავმჯდომარე არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მივლინებული წარმომადგენელი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში წამახალისებელი გათამაშებების ჩატარებისას – საჭიროების შემთხვევაში – ფინანსების სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროს ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი. მომენტალური ლატარიის, წამახალისებელი გათამაშების შემთხვევაში კომისია ამოწმებს გამოშვებული, მათ შორის მოგებახვედრილი ბილეთების რაოდენობასა და მათი სარეალიზაციო მასაში ჩალაგების სისწორეს.

მუხლი 17

1. იმ შემთხვევაში, თუ ლატარიის, წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდის გათამაშებამდე არ მოხერხდა ყველა ბილეთის რეალიზაცია, ორგანიზატორის მიერ იქმნება კომისია, სადაც მივლინებული იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში გათამაშების ჩატარებისას, საჭიროების შემთხვევაში – ფინანსების სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროს ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი.

2. კომისიამ გათამაშების დაწყებამდე ერთი დღით ადრე უნდა აღრიცხოს და დალუქოს რეალიზაციის გარეშე დარჩენილი ბილეთები, გარდა სპეციალური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლატარიისა.

3. მოგების გაცემის დასრულებიდან არა უგვიანეს 25 დღისა მოგებახვედრილი ბილეთები წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ექსპერტიზა-უტილიზაციისათვის.

4. არარეალიზებული და მოგებახვედრილი ბილეთების ექსპერტიზა-უტილიზაციას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

5. არარეალიზებული და მოგებახვედრილი ბილეთების ექსპერტიზა-უტილიზაცია, აგრეთვე მომგებიან თამაშობებში მონაწილე ბილეთების ლეგალიზაცია ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით (როგორც მექანიკურად, ასევე პოლიგრაფიულად).

6. ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და სხვა მომგებიანი თამაშობების ბილეთები წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ექსპერტიზაუტილიზაციისათვის არა უგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

მუხლი 18

ლატარიის, წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორის განაცხადი მე-16 და მე-17 მუხლებში მოცემული კომისიების შემადგენლობაში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის მივლინების თაობაზე ფინანსთა სამინისტროში უნდა შევიდეს გათამაშებამდე 3 დღით ადრე.

თავი III. აზარტული თამაშობების მოწყობისა და ნებართვების გაცემის პირობები

მუხლი 19

1. აზარტული თამაშობების ორგანიზება დასაშვებია მხოლოდ სამორინესა და სათამაშო აპარატების სალონში.

2. სამორინეში დამონტაჟებული უნდა იყოს და ფუნქციონირებდეს არანაკლებ შვიდი სათამაშო მაგიდა, მათგან ერთი სათამაშო ბორბალზე (რულეტზე) სათამაშოდ.

3. სამორინეს მოწყობისათვის ნებართვა გაიცემა კონკრეტულ მისამართზე. დაუშვებელია სამორინეს მიერ მისამართის შეცვლისას ძველი ნებართვის გამოყენება უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილების

რეგისტრაციის გზით, თუკი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ახალი მისამართისათვის დადგენილია მოსაკრებლის სხვა განაკვეთი. აღნიშნულ შემთხვევაში სამორინეს მოწყობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიცეს სხვა ნებართვა.

მუხლი 20

1. სამორინე სავალდებულო წესით უნდა შედგებოდეს კლიენტთა მომსახურების ზონისა და სამსახურებრივი სათავსოების ზონისაგან, თითოეული ზონისათვის უნდა არსებობდეს ცალკე შესასვლელი.

2. კლიენტთა მომსახურების ზონაში განლაგებულია:

ა) სათამაშო დარბაზები;

ბ) კლიენტებთან ფულადი ანგარიშსწორების წარმოების სალარო;

გ) სამორინეს სტუმრების დასასვენებლად, გასართობად და სანახაობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი სათავსები;

დ) გარდერობი.

3. სათამაშო დარბაზი წარმოადგენს სპეციალურად თამაშების ჩასატარებლად მოწყობილ სათავსოს, სადაც ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესით განლაგებულია სათამაშო მაგიდები სამორინეს კლიენტებისათვის და სამუშაო ადგილები სამორინეს თანამშრომლებისთვის. დარბაზი არ უნდა ჩანდეს შენობის გარეთა მხრიდან.

4. კლიენტებთან ფულადი ანგარიშსწორების წარმოების სალარო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სამორინეს კლიენტებისათვის განკუთვნილ დასასვენებელ სათავსებში შეიძლება მუშაობდეს რესტორნები და ბარები, აგრეთვე ჩატარდეს სანახაობრივი და გასართობი ღონისძიებები.

6. სამსახურებრივი სათავსების ზონაში აუცილებლად უნდა შედიოდეს:

ა) კრუპიეთა დასასვენებელი ოთახი (ან ოთახები);

ბ) იზოლირებული სათავსი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისათვის;

გ) სეიფით აღჭურვილი ოთახი.

7. სეიფით აღჭურვილი ოთახი წარმოადგენს სპეციალურად მოწყობილ სათავსს, სადაც ინახება სამორინეს სარეზერვო თანხა თითოეულ სათამაშო მაგიდაზე სულ ცოტა 10 000 ლარის ოდენობით, სამორინეს მთელი შიდა დოკუმენტაცია, სამორინეს სათამაშო მოწყობილობა, რომელიც არ არის სტაციონალურად დამონტაჟებული.

ამ სახის მოწყობილობას განეკუთვნება:

ა) ბურთულები რულეტისათვის;

ბ) სათამაშო ჟეტონები;

გ) ბანქოს დასტები;

დ) კარაბინები ბანქოს დასარიგებლად;

ე) სინები ბანქოს დასარიგებლად;

ვ) კამათლები.

8. სამორინე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუდმივი დენის წყაროთი, აღჭურვილი უნდა იყოს დარბაზებში, სალაროებთან და შემოსასვლელებში დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. ვიდეოჩაწერა უნდა მიმდინარეობდეს სამორინეს მუშაობის მთელ პერიოდში, რათა შეიქმნას ცალკეული მაგიდისთვის თვალყურის დევნების საშუალება. მაგნიტური ლენტები, შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 10 დღისა უნდა ინახებოდეს ისეთ ადგილზე, სადაც მათი დაცვა უზრუნველყოფილი იქნება და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე, კანონის დადგენილი წესით, შესამოწმებლად წარედგინება უფლებამოსილ ორგანოებს.

მუხლი 21

1. სამორინეს ორგანიზებისათვის ნებართვის მისაღებად იურიდიულმა (ფიზიკურმა) პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა.ა) ფიზიკური პირისთვის – სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის მონაცემებს, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს, თამაშობის ადგილსამყოფელს, მითითებას, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს პირი; იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმას, იურიდიულ მისამართს, თამაშობის ადგილსამყოფელს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და გვარს; სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემებს, მითითებას, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს პირი;

ბ) იურიდიული პირის წესდება და რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება, ან ცნობა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის შესახებ; ინდივიდუალური მეწარმისათვის სასამართლოს დადგენილება ან ცნობა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან;

ე) ხელშეკრულება ან შეთანხმება ნებართვის მაძიებელსა და თამაშობის ჩატარების ფართობის მფლობელს შორის. თუ ფართობი ნებართვის მაძიებლის საკუთრებაა, მან უნდა წარმოადგინოს საკუთრების

დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

ზ) სამორინეს დებულება, რომელშიც მოცემულია: სამორინეს მუშაობის წესები; სამორინეში მიმდინარე თამაშობების წესები; მინიმალური და მაქსიმალური ფსონის სიდიდე; სამორინეში მოქცევის წესები;

თ) სამორინეში არსებული დანადგარების (სათამაშო მაგიდები, სათამაშო აპარატები) ჩამონათვალი, სახელწოდების, მოდიფიკაციის მითითებით;

ი) აქტი ან სერტიფიკატი დანადგარების წარმოშობის თაობაზე;

კ) დანადგარების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ლ) საქართველოს ტერიტორიაზე დანადგარების შემოტანის ლეგალურობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საზღვარგარეთ დამზადებული დანადგარებისათვის);

მ) სათამაშო ჟეტონების ნიმუშები.

2. ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობა.

მუხლი 22

1. სათამაშო აპარატები მოგების ოდენობისა და თამაშობაში მონაწილეობისათვის საფასურის მიხედვით იყოფა „ა“ და „ბ“ კლასების სათამაშო აპარატებად.

2. „ა“ კლასის ფულადი მოგების სათამაშო აპარატები უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) თამაშობებში მონაწილეობენ მონეტების, ჟეტონების ან სხვა საშუალებით;

ბ) ერთ თამაშობაში მონაწილეობის მაქსიმალური ღირებულებაა ერთი ლარი;

გ) მაქსიმალური მოგების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თამაშობაში მონაწილეობის საფასურის ორმოცდაათმაგ ოდენობას.

3. „ბ“ კლასის ფულადი მოგების სათამაშო აპარატებს არ გააჩნიათ შეზღუდვა არც მოგების ოდენობისა და არც თითო თამაშში მონაწილეობის საფასურის მიხედვით.

მუხლი 23

სათამაშო აპარატებზე გათვალისწინებული უნდა იყოს დადებული ფსონის სულ ცოტა 80 პროცენტი მოგება.

მუხლი 24

1. სათამაშო აპარატების სალონის ორგანიზებისათვის ნებართვის მისაღებად იურიდიულმა (ფიზიკურმა) პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის მონაცემებს, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს, თამაშობის ადგილსამყოფელს, მითითებას, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს პირი;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმას, იურიდიულ მისამართს, თამაშობის ადგილსამყოფელს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელსა და გვარს; სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემებს, მითითებას, თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს პირი;

ბ) იურიდიული პირის წესდება და რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება ან ცნობა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის შესახებ; ინდივიდუალური მეწარმისათვის სასამართლოს დადგენილება ან ცნობა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან;

ე) ხელშეკრულების ან შეთანხმების ნოტარიალურად დამოწმებული ასლი ნებართვის მაძიებელსა და თამაშობის ჩატარების ფართობის მფლობელს შორის. თუ ფართობი ნებართვის მაძიებლის საკუთრებაა, მან უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

ზ) სათამაშო აპარატების ჩამონათვალი სახელწოდების, მოდიფიკაციის, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის მითითებით;

თ) სათამაშო აპარატების თამაშების მოკლე აღწერილობა, თითოეულ აპარატზე მაქსიმალური ფსონისა და მოგების მაქსიმალური ოდენობის მითითებით;

ი) სათამაშო აპარატების წარმოშობის სერტიფიკატი ან აქტი;

კ) სათამაშო აპარატების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ლ) საქართველოს ტერიტორიაზე სათამაშო აპარატების შემოტანის ლეგალურობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საზღვარგარეთ დამზადებული სათამაშო აპარატებისათვის).

2. ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობა.

მუხლი 25

სამორინეს და სათამაშო აპარატების მოწყობის ნებართვები გაიცემა მხოლოდ ერთი ობიექტის

ფუნქციონირებისთვის.

თავი IV. ლატარიის, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორის უფლება-მოვალეობები

მუხლი 26

იურიდიული (ფიზიკური) პირის ოფიციალური წარმომადგენელი ვალდებულია ნებართვის მისაღებად პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითა და მინდობილობით გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, ხელმოწერით დაადასტუროს, რომ გაეცნო ნებართვის პირობებს და იღებს პასუხისმგებლობას მათი შესრულებისათვის.

მუხლი 27

თამაშის წესები უნდა განთავსდეს იმ ადგილზე, სადაც თამაშობა ტარდება და მოთამაშეს პირველი მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინონ.

მუხლი 28

1. აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მფლობელ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების გათვალისწინებით.

2. სამორინეს, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით. სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 29

1. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თამაშობების ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მოთამაშეთა და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

ბ) აწარმოოს გაცემულ მოგებათა რეგისტრაცია და ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) გასცეს მოგებები თამაშობის წესების თანახმად;

დ) მისცეს მოთამაშეებს წერილობითი ცნობა მოგების მიღების შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებული ფორმის მიხედვით;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება მოთამაშეთა პრეტენზიებთან დაკავშირებით თამაშობათა წესებით გათვალისწინებულ ვადებში;

ვ) საიდუმლოდ შეინახოს მონაცემები მოთამაშეთა მიერ მოგებულ ან წაგებულ თანხებზე და ინფორმაცია მათ შესახებ გასცეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) დროულად გადაიხადოს თამაშობის მოწყობისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლები და გადასახადები;

თ) არ დაუშვას დამატებითი პირობების მოთხოვნა მოგებულ მოთამაშეზე მოგების გაცემისას, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

ი) საქმიანობის შეწყვეტიდან/განახლებიდან 2 კვირის ვადაში წერილობით აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის შეწყვეტის/განახლების თაობაზე;

კ) შეასრულოს ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით მასზე დაკისრებული მოვალეობები.

2. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს ეკრძალება არასრულწლოვან პირებთან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების დადება, რომლის მიხედვითაც მათ ევალებათ თამაშის ჩატარების ადგილზე მუშაობა, თამაშის ორგანიზაციაზე ან ჩატარებაზე კონტროლის გაწევა.

3. სამორინეს, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს ეკრძალება მოთამაშეებისათვის სესხის გაცემა ფსონის დასადებად.

მუხლი 30

1. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებული არ არის შეამოწმოს ლატარიის ბილეთის, სათამაშო ჟეტონის ან სხვა თამაშში მონაწილეობის მიღების უფლების დამადასტურებელი საბუთების წარმომდგენის უფლებამოსილება თუ ეს თამაშობის წესით არ არის განსაზღვრული.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშემ დაკარგა თამაშობის მონაწილეობისა და მოგების დამადასტურებელი ლატარიის, მომგებიანი თამაშობის ბილეთი ან სათამაშო ჟეტონი, მას უფლება არა აქვს პრეტენზია წარუდგინოს ლატარიის, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს, თუ თამაშების წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია თამაშობების ორგანიზებასთან, მიიღება თამაშის წესებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 31

აკრძალულია სათამაშო დარბაზებში იმ თამაშობის გამართვა, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სამორინეს დებულებით.

მუხლი 32

18 წლამდე ასაკის პირთათვის აზარტულ თამაშში მონაწილეობა აკრძალულია.

მუხლი 33

1. სათამაშო მაგიდები, სათამაშო აპარატები და სხვა დანადგარები (შემდგომში _ სათამაშო დანადგარი), რომლებიც გამოიყენება თამაშობისათვის, აგრეთვე, კონკრეტული თამაშობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებითი ინვენტარი შეიძლება იყოს სამორინესა და აზარტული თამაშობის ორგანიზატორის საკუთრებაში, სარგებლობაში ან აღებული ჰქონდეს იჯარით, ლიზინგით ან ქონებით სარგებლობის სხვა ფორმით.

2. სათამაშო დანადგარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თამაშობებში მხოლოდ შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) განმასხვავებელი აღნიშვნების არსებობა (სანომრე ნიშანი, საქარხნო ნომერი, დამზადების თარიღი, დამამზადებელი ქვეყანა);

ბ) შესაბამისობა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ პარამეტრებთან და სტანდარტებთან.

მუხლი 34

ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების საქმიანობის დაბეგვრა და საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 35

აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვა არ გაიცემა, თუ თამაშობა (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ეწყობა საბავშვო, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკულტო ნაგებობებში, საბავშვო სანატორიუმებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და ადგლობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებში, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით აკრძალულ ადგილებში.

მუხლი 36

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია ამ კანონის მოთხოვნები და შეთანხმებული გათამაშების წესები გააცნოს ნებართვის მიმღები იურიდიული (ფიზიკური) პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს და დააწესოს ამ კანონისა და გათამაშების წესების ყველა პუნქტის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი.

თავი V. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 37

1. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გათანაბრებულია სანებართვო პირობების დარღვევასთან და შესაძლებელია გახდეს ნებართვის მოქმედების შეჩერებისა და ნებართვის გაუქმების საფუძველი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 თავის შესაბამისად.

3. ლატარიის ბილეთების ან მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების გაყალბება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 38

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის მიღებიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ფონდის დაფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული ლიცენზიები (სამორინეებისა და ლატარიების გარდა) ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ექვემდებარება ნებართვებად გადაფორმებას, ხოლო სამორინეების მოწყობისათვის გაცემული ლიცენზიები და ნებართვები ძალაშია 2006 წლის 1 იანვრამდე, ამის შემდეგ სამორინეს მოწყობისათვის ნებართვები გაიცემა ამ კანონისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად; ლატარიების ორგანიზებისათვის გაცემული ლიცენზიები და ნებართვები ძალაშია 2006 წლის 1 იანვრამდე.

3. ლიცენზიის მფლობელი (სამორინეებისა და ლატარიების გარდა) ვალდებულია ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოადგინოს განაცხადი ლიცენზიის ნებართვად გადაფორმების თაობაზე, ლიცენზია, აგრეთვე ამ კანონით დადგენილი დამატებითი დოკუმენტაცია და იმ დოკუმენტთა განახლებული ვარიანტი, რომელთაც გასული აქვთ მოქმედების ვადა.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განიხილავს დოკუმენტაციას ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ ვალდებულებასთან დაკავშირებით და ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გასცემს ნებართვას (სამორინეებისა და ლატარიების გარდა). ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ სხვაობა ლიცენზიის აღების დროს გადახდილ მოსაკრებლის ოდენობასა და ამ საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობას შორის.

5. ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიები ძალადაკარგულად ითვლება.

6. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული ნებართვების მოქმედების ვადა (სამორინეებისა და ლატარიების გარდა) განისაზღვრება ნებართვის გაცემიდან 1 წლის ვადით.

მუხლი 39

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებაზე ამ კანონის ძალაში შესვლამდე გაცემული ლიცენზიების, აგრეთვე ნებართვების მფლობელთა მიერ საქართველოს საკანონმდებლო ნორმების შესრულებაზე კონტროლს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თავი VII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 40

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2005 წლის 25 მარტი.
№1180-Iს